



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს

2023 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილებით

სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.წინამდებარე წესის მიზანია დაადგინოს სტუდენტთა ინიციატივებისა და პროექტების (შემდეგში „პროექტი“) წარდგენისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა.

2. დაფინანსების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი პროექტი შეიძლება იყოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული ან სპორტული თემატიკის.

მუხლი 2. პროექტის წარდგენა/ დაფინანსება.

1.სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების მიღების შესახებ განცხადება ქვეყნდება საჯაროდ, სადაც განსაზღვრულია საპროექტო წინადადებები, მოთხოვნები, განაცხადის მიღების ვადები.

2. სტუდენტური ინიციატივებსა და პროექტებს განხილავს და გადაწყვეტილებას იღებს წარმომადგენლობითი საბჭო.

3. სტუდენტური ინიციატივებსა და პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წარმომადგენლობითი საბჭო.

4.პროექტების განსახორციელებლად საჭირო (აუცილებელი) ფინანსური და მატერიალური რესურსების ხარჯვაზე და გამოყენებაზე გადაწყვეტილებას, შესაბამისი რესურსის ფარგლებში, იღებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

5. პროექტები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს კალენდარული წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს (გარდა უქმე დღეებისა), მაგრამ, შესაბამისი ინიციატივის/პროექტის სავარაუდო განხორციელების თარიღამდე ერთი თვით ადრე მაინც.

6. პროექტის ავტორი(სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი) ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს დამატებითი/დაზუსტებული პროექტი ან/და სხვა საჭირო ინფორმაცია.



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

7. პროექტის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, პროექტის ავტორმა რექტორის სახელზე უნდა წარმოადგინოს ანგარიში.

8. გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტის მონაცემები და სტუდენტური პროექტების პრიორიტეტულობა შემდეგი მიმართულებებითა და თანმიმდევრობით:

1. სამეცნიერო პროექტები;
2. კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები;
3. სპორტული ღონისძიებები;
4. არაფორმალური განათლება;
5. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტების ხელშეწყობა.

მუხლი 3. ცვლილებისა და დამატების შეტანა

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.